

დემენციის პირველი ეროვნული გეგმა (NDP-1) სამხრეთ კორეა, 2008-2012

გამოცხადდა 2008 წლის აგვისტოში, დემენციის წინააღმდეგ “ბრძოლის” დეკლარაციასთან ერთად. აღნიშნული გეგმის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

- ამოქმედდა დემენციის ადრეული გამოვლენის ეროვნული სერვისი (NDeED), რომელიც მოიცავდა დემენციის სკრინინგს, დიაგნოსტიკასა და დიფერენციულ დიაგნოსტიკას.
- დაინერგა სამედიცინო ხარჯების მხარდაჭერის პროგრამა, დემენციის ადრეული დიაგნოსტიკის ხელშეწყობისა და დაავადების პროგრესირების შეფერხების მიზნით.
- შეიქმნა დემენციის საკონსულტაციო ცენტრები (DCC)#.

#დემენციის მართვის საზოგადოებრივი სისტემის შესაქმნელად, ყველა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში (CHC) შეიქმნა დემენციის საკონსულტაციო ცენტრები (DCC).

დემენციის მეორე ეროვნული გეგმა (NDP-2) 2012-2015

2012 წლის აგვისტოში მიიღეს დემენციის მართვის აქტი (DeMA) და 2012 წლის ნოემბერში გამოცხადდა NDP-2.

NDP-2-ის ამოცანები და სტრატეგიები

1. დემენციის ადრეული გამოვლენა და პრევენცია

ა) დემენციის ადრეული განვლენის სერვისის გაუმჯობესება:

- NDeED სერვისის მხარდაჭერა (სკრინინგი, დიაგნოსტიკა და დიფ. დიაგნოსტიკა).
- დემენციის თვითშემოწმების მხარდაჭერა ‘შეამოწმე დემენცია’ (Check Dementia) აპლიკაციის საშუალებით.

შეზღუდვები: NDeED პროგრამის ფარგლებში დემენციის გამოვლენის მაჩვენებლები მოსალოდნელზე დაბალი იყო.

ბ) დემენციის რისკ ფაქტორების გაუმჯობესებული მართვა:

- “ჯანმრთელი ასწლოვანების” სავარჯიშო კლასების დანერგვა.
- დემენციის პრევენციის 3-3-3* წესების გავრცელება და დემენციის პრევენციის სავარჯიშოები

შეზღუდვები: მაღალი რისკის ჯგუფებისთვის მორგებული სერვისების ნაკლებობა და ჯანსაღი ხანდაზმულებისთვის ცნობიერების ამაღლების ნაკლებობა.

2. დემენციის მიზნობრივი მკურნალობა და დაცვა.

ა) მკურნალობის მხარდაჭერა:

- სამედიცინო ხარჯების დაფინანსება (მაგ. მედიკამენტებისა და საავადმყოფოს ხარჯები), ასევე კოგნიტური უნარების სტიმულაციის პროგრამების განვითარება როგორც მსუბუქი დემენციის მქონე პაციენტებისათვის (რეაბილიტაციის ცენტრებში) ან მძიმე ფორმის პაციენტებისათვის გრძელვადიანი მოვლის ჰოსპიტლების პირობებში.

შეზღუდვები: არა-ფარმაკოლოგიური თერაპიების ეფექტურობის შესახებ მტკიცებულებების შეზღუდულობა.

ბ) LTCI-ის უფლებამოსილების გაფართოება:

- გრძელვადიანი მოვლის დაზღვევის სისტემის (LTCI) გაფართოება და მეხუთე კლასის დამატება, რომელიც მოიცავს მსუბუქ დემენციას რა დროს პირს შენარჩუნებული აქვს ფიზიკური მობილობა, მაგრამ გამოხატული აქვს კოგნიტური დარღვევები. ამ პირებს შეეძლებათ მიიღონ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სპეციალური მოვლის სერვისები. ასევე ეს სერვისები გაფართოვდება ყოველდღიურ აქტივობების შესრულებაში სირთულეების მქონე ხანდაზმულებზეც (ADL).

შეზღუდვები: კოგნიტური სტიმულაციისა და სხვა პროგრამებისთვის მასალის ნაკლებობა, რომელიც ფოკუსირებულია მსუბუქ და საშუალო სიმძიმის დემენციაზე.

გ) ოჯახის წევრი-მომვლელის მხარდაჭერა:

- დროებითი (დღე-ღამის) მოვლის სერვისის დამატება

- ოჯახის-წევრი მომვლელებისთვის დემენციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- დემენციის მქონე პირებისთვის, დაკარგვის პრევენციის მიზნით, საიდენტიფიკაციო სამაჯურების/სანიშნების მიწოდება.

შეზღუდვები: სოფლად დღე-ღამის ცენტრების დანერგვის სირთულემ ხაზი გაუსვა მოვლის გამოძახებითი სერვისების განვითარების მნიშვნელობას.

დ) რეგიონული საავადმყოფოების განვითარება დემენციის კუთხით:

- სახელმწიფო გრძელვადიანი მოვლის ჰოსპიტლებში**, დემენციის მქონე პირებისთვის გაწეული მოვლის ხარისხის გაუმჯობესება.
- დემენციის რეგიონული საავადმყოფოების დანერგვა.

**კორეაში სახელმწიფო გრძელვადიანი მოვლის საავადმყოფოები (LTCH) არის მთავრობის მიერ დაფინანსებული ან მართული დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვემწვავე, რეაბილიტაციურ და ქრონიკულ მოვლას, ძირითადად ფუნქციური ან კოგნიტური დარღვევების მქონე ხანდაზმულებისთვის, ეროვნული ჯანმრთელობის დაზღვევის დაფინანსებით.

შეზღუდვები: 2012 წელს თავდაპირველად დანიშნული 7 რეგიონული საავადმყოფოს შემდგომ ვერ მოხერხდა მსგავსი დაწესებულებების დამატება. ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების არაეფექტური მართვა.

3. ინფრასტრუქტურის გაფართოება

*ა) დემენციის მართვის გადაცემითი სისტემის DMCS*** ჩამოყალიბება:*

- **დემენციის ეროვნული ინსტიტუტის (NID) და მეტროპოლიტური/რეგიონული დემენციის ცენტრების (MDC/PDC) ჩამოყალიბება.**
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებში, **დემენციის საკონსულტაციო ცენტრების (DCC) ჩამოყალიბება.**

***სამხრეთ კორეაში „დემენციის მართვის გადაცემის სისტემის (DMCS) შექმნა“ გულისხმობს ყოვლისმომცველი, მრავალდონიანი ინფრასტრუქტურის დანერგვას, რომელიც დემენციით დაავადებული პაციენტებისა და მათი ოჯახების წევრებს დააკავშირებს საჭირო მოვლისა, სამედიცინო მკურნალობის დაწესებულებებთან და

საზოგადოების მხარდაჭერის სერვისებთან. ესენია - დემენციის ეროვნული ინსტიტუტი (NID), რეგიონული დემენციის ცენტრები (MDC), საკონსულტაციო ცენტრები (DCC) და დემენციის მქონე პირთა მოვლის ჰოსპიტლები (Dementia Care Hospitals)

შეზღუდვები: თანამშრომლების არასაკმარისი რაოდენობა, რამაც განაპირობა დასახული მიზნების არაეფექტური შესრულება.

ბ) დემენციასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზების ინტეგრაცია:

- ჯანმრთელობის ინფორმაციის ფარმაცევტული სისტემის (PHIS), ხანდაზმულთა მხარდაჭერის სისტემის (სახლიდან გაქცევის და დაკარგვის მაღალი რისკის პაციენტთა მხარდაჭერის სისტემა) ბაზების გამოყენება პაციენტებისათვის დემენციით სხვადასხვა პოლიტიკის განხორციელების მიზნით.
- ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული სამასახურის (NHIS) მონაცემთა ბაზის გამოყენება დემენციის მქონე პირთა მიერ სამედიცინო მომსახურების სტატისტიკური ანალიზის მისაღებად.

შეზღუდვები: მოცემულ ბაზების მოუხერხებელი ფუნქციონირება.

გ) მომზადება დემენციის მქონე პირებთან მუშაობისთვის:

- ჯანმრთელობის პროფესიონალთა საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (ექიმებისათვის, ექთნებისათვის, პროგრამ მენეჯერებისათვის, მომვლელ თანამშრომლებისათვის).
- დემენციის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა კურსდამთავრებულთა მართვის მიზნით

შეზღუდვები: პროგრამებისა და ტრენინგების არაეფექტური მართვა.

დ) დემენციასთან ასოცირებული კვლევების გაძლიერება:

- დემენციის სფეროში ჯანმრთელობისა და სამედიცინო ტექნოლოგიების კვლევა/განვითარება.

შეზღუდვები: საკოორდინაციო ცენტრის არარსებობა, რამაც განაპირობა არა-დამაკმაყოფილებელი პროგრესი კვლევების მიმართ.

4. ოჯახის წევრი მომვლელების მხარდაჭერისა და დემენციასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების გაძლიერება

ა) ოჯახის წევრი მომვლელების მხარდაჭერის გაძლიერება:

- დემენციასთან დაკავშირებული ინფორმაციასთან წვდომის გაუმჯობესება,
- ოჯახური თვითდახმარების ჯგუფების მართვა და მხარდაჭერა 2013 წელს დემენციის ეროვნული დახმარების ხაზის დაარსების გზით.

შეზღუდვები: ახლობელი მომვლელების მხარდასაჭერად აუცილებელია სოციო-ეკონომიკური ტვირთის მოხსნა.

ბ) ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის მიწოდება:

- ყოველწლიური “დემენციის ცნობიერების დღის” (21 სექტემბერი) გამოცხადება.
- ყოველწლიური “დემენციის დამლევის ეროვნული სასეირნო აქცის” გამოცხადება.
- დემენციის პარტნიორთა* პროგრამის წამოწყება (სადაც მოხდება მოხალისეების აყვანა).

შეზღუდვები: არა-სისტემური ღონისძიებების გამოყენება.

*3-3-3 წესი ყოველდღიურ ქმედებებს სამ ძირითად კატეგორიად ყოფს - საქმიანობა (მოქმედებები), ჭამა (დიეტა) და სიამოვნება (სოციალური/გონება) - თითოეული მათგანი სამი კონკრეტული, ადვილად შესასრულებელი რეკომენდაციით.

აი, რას ნიშნავს 3-3-3 წესი:

3 საქმიანობა Do's (Physical & Lifestyle Habits) (ფიზიკური და ცხოვრების წესის ჩვევები)

რეგულარულად ივარჯიშეთ: იარეთ ან ირბინეთ სუნთქვაშეკრულობის დასრულებამდე, მინიმუმ 30 წუთის განმავლობაში, კვირაში 2-3-ჯერ ან მეტჯერ. შეწყვიტეთ მოწევა: საერთოდ მოერიდეთ მოწევას, რადგან ის ძლიერ აზიანებს ტვინის უჯრედებს და ზრდის დემენციის რისკს.

ნაკლები ალკოჰოლის მიღება: მოერიდეთ ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მეხსიერების დაკარგვა და ტვინის დაზიანება.

3 კვება (დიეტური ჩვევები) Eats (Dietary Habits)

მიირთვით თევზი: რეგულარულად მიირთვით თევზი, რადგან ის მდიდარია ტვინისთვის სასარგებლო საკვები ნივთიერებებით.

მიირთვით ხილი და ბოსტნეული: გაზარდეთ ახალი ხილისა და ბოსტნეულის მოხმარება.

დალიეთ წყალი: დალიეთ დღეში მინიმუმ ექვსი ჭიქა წყალი.

3 სიამოვნება (ტვინი და სოციალური აქტივობები) Enjoys (Brain & Social Activities)

სოციალიზაცია: ხშირად იუიერთეთ სხვებთან, მიიღეთ მონაწილეობა საზოგადოებრივ აქტივობებში და შეასრულეთ მოხალისეობრივ სამუშაო რათა ჩართული იყოთ საზოგადოებაში.

ტვინის ვარჯიში: გამოიყენეთ მოტორული უნარები (მაგ., ხელით წერა აკრეფის ნაცვლად), აწარმოეთ დღიური და ჩაერთეთ ტვინის თამაშებში ტვინის ფუნქციების გასააქტიურებლად.

ჩაიტარეთ გამოკვლევები: პროაქტიულად ჩაიტარეთ დემენციის სკრინინგი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მეშვეობით, განსაკუთრებით ასაკის მატებასთან ერთად.

„დემენციის პარტნიორები“ გულისხმობს გაწვრთნილ მოხალისეებსა და მოქალაქეებს, რომლებიც ხელს უწყობენ დემენციისადმი მეგობრული საზოგადოების შექმნას დემენციის მქონე ადამიანებისა და მათი მომვლელების მიმართ სტიგმის იდენტიფიცირებით, მხარდაჭერით და შემცირებით. ეს პარტნიორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ საზოგადოებაზე დაფუძნებულ მზრუნველობაში, მოქმედებენ როგორც დამხმარე ქსელი პაციენტების ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მომვლელების ტვირთის შესამცირებლად.

კორეულ კონტექსტში დემენციის პარტნიორების შესახებ ძირითადი დეტალები:

მოხალისეები და განათლება: დემენციის პარტნიორები განსწავლული არიან დემენციის ირგვლივ, რათა უზრუნველყონ სათანადო მხარდაჭერა.

როლი საზოგადოებაში: ისინი ხელს უწყობენ საზოგადოებრივ მზრუნველობას სამეზობლოებში მუშაობით, რათა დაეხმარონ დემენციის მქონე პირების ადრეულ გამოვლენასა და დახმარებაში.

ოჯახების მხარდაჭერა: მათი მიზანია დემენციის მქონე ადამიანების ოჯახების ემოციური და ფიზიკური ტვირთის შემსუბუქება.

პროგრამის მიზანი: ინიციატივა წარმოადგენს „დემენციისთვის უსაფრთხო“ და დემენციისთვის მეგობრული გარემოს შექმნის მთავარ ელემენტს, რაც სამხრეთ კორეის მთავრობის ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიზანია.

საზოგადოების ჩართულობა: ეს პროგრამები ხშირად ორგანიზებულია ადგილობრივი დემენციის ცენტრების მიერ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

თარგმანი: ნინო ეხვასიას და დავით გიგინეშვილის. კორექტირება და შედგენა: დავით გიგინეშვილის